განმარტება

ქ. თბილისში ვაკის რაიონში ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის N34-ის შიდა კვარტალში N101 სკოლის მოპირდაპირედ მოქ-ების ცისანა ქობულაძის, ზურაბ მეზვრიშვილის და ამხანაგობა "მეგა-4"-ის თანასაკუთრებაში არსებულ 1800 მ² ნაკვეთზე ს/კ 01.14.03.042.416 მრავალბინიანი 8-10 სართულიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა შესრულებულია ინჟინერ-გეოლოგ დ. შანიძის მიერ 2020 წელს, რასაც იმავე წელს ჩაუტარდა საექსპერტო შეფასება ექსპერტ გ. ჭოხონელიძის მიერ.

2023 წელს 4 ივლისს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N6541631 გადაწყვეტილებით შემოვიდა შუალედური შენიშვნა ექსპერტის სახელზე, სადაც აღნიშნულია, რომ საექსპერტო შეფასებაში არ არის ნახსენები მიწისქვეშა სართულის (სარდაფი) შესახებ.

უნდა აღინიშნოს, პროექტი მიწისქვეშა სართულის მოწყობას არ ითვალისწინებდა, თუმცა მშენებლობის დაწყების დროს საძირკვლის ამოღებისას ქვედა ნაწილში გაჩნდა სივრცე რის გამოც გადაწყდა სარდაფის მშენებლობა.

როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველ პროექტში არ იყო გათვალისწინებული შენობის ქვეშ სარდაფის მოწყობა, ამიტომ ბუნებრივია საექსპერტო შეფასებაშიც არ იყო ნახსენები.

შუალედური შენიშვნის მიღების შემდეგ საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის ავტორი - დ. შანიძე და ექსპერტი - გ. ჭოხონელიძე ადგილზე გავედით და დეტალურად დავათვალიერეთ შენობის სარდაფი. როგორც დათვალიერებამ გვიჩვენა, სარდაფი ზომებით 30.0X17.0 მ-ზე. ზედაპირიდან ჩაღრმავებულია 3.20 მ-ზე. საძირკველი წერტილოვანია და 0.6 მ² სისქის კოლონები ეფუძნება რკინა-ბეტონის ბალიშს ზომებით 2.20X2.20 მ-ზე. რომლის სისქე 1.0 მ-ია. ე.ი. საძირკველი ეფუძნება რკინას ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობის ფენას, რომლის დატვირთვა ერთღერძა კუმშვაზე $R_ჯ$=47 კგძ/სმ² რომლის ანგარიში წარმოდგენილი იყო 2020 წლის გეოლოგიურ დასკვნაში.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობა თითქმის დამთავრებულია, მიმდინარეობს შიდა სამუშაოები. აღნიშნულ შენობას შეეცვალა როგორც მისამართი ასევე მესაკუთრე. ობიექტის ახალი მისამართია ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა N5, ხოლო მესაკუთრე შპს "სანო 2015".

შენობა სარდაფით თავიდანვე აშენებულია ერთდროულად ხარისხიანად, რაიმე საშიშროების გაჩენა გამორიცხულია და აბსოლუტურად უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის.

აღნიშნულ განმარტებას ერთვის ჩემს მიერ 2020 წელს წარმოდგენილი საექსპერტო შეფასება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ფუძე-საძირკვლების მიმართულების
კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი;

გ. ჭოხონელიძე

19.07.2023

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №34-ის შიდა კვარტალში №101 სკოლის მოპირდაპირედ მოქ. ცისანა ქობულაძის, ზურაბ მეზვრიშვილის და ე.ს. „ამხანაგობა მეგა 4“-ის თანასაკუთრებაში არსებულ 1800 მ² ნაკვეთზე ერთი 8-10 ჯართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევები“.

ჩვენს მიერ 2020 წლის აგვისტოში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №34-ის შიდა კვარტალში №101 სკოლის მოპირდაპირედ მოქ. ცისანა ქობულაძის, ზურაბ მეზვრიშვილის და ე.ს. „ამხანაგობა მეგა 4“-ის თანასაკუთრებაში არსებულ 1800 მ² ნაკვეთზე ერთი 8-10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №34-ის შიდა კვარტალში №101 სკოლის მოპირდაპირედ მოქ. ცისანა ქობულაძის, ზურაბ მეზვრიშვილის და ე.ს. „ამხანაგობა მეგა 4“-ის თანასაკუთრებაში არსებულ 1800 მ² ნაკვეთზე ერთი 8-10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი.ს. მშენგეო“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2020 წლის აგვისტოში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი დ. შანიძე. მათ მიერ არის შესრულებული გრუნტის თვისებათა გამოკვლევა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 13 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა..... 1 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 2 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 8-10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 5 შურფი, თითოეული 2.5 მ. სიგრძის. შურფებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა 2 – ძირითადი ქანები, ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა ძლიერ გამოფიტული.
3. ფენა 3 – ძირითადი ქანები, ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედაა მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოედნის სულ ზედა ფენა ნაყარით არის წარმოდგენილი. იგი შენობის ფუძე გრუნტად არ განიხილება, ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა. შემდეგი ფენა – ძირითადი ქანებია, მათი ზედა ნაწილი ძლიერ გამოფიტულია. ქანების წოლის ელემენტებია: ქანების მიმართების აზიმუტი ჩრდილო-დას. 340^0, ხოლო ქანების დახრის კუთხე $30\text{-}35^0$. ანგარიშში მოცემულია ძირითადი ქანების ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. განსაზღვრული იქნა ქვიშაქვების სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, როგორიცაა მეწყერი, ზვავი, სუფოზია და სხვ. არაა მოსალოდნელი. ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გამოკვლეულ სიღრმეზე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №34-ის შიდა კვარტალში №101 სკოლის მოპირდაპირედ მოქ. ცისანა ქობულაძის, ზურაბ მეზვრიშვილის და ე.ს. „ამხანაგობა მეგა 4“-ის თანასაკუთრებაში არსებულ 1800 $მ^2$ ნაკვეთზე ერთი 8-10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. ჭოხონელიძე